

დიდი შვიდიანის (G7) ლიდერების განცხადება უკრაინის შესახებ

ჩვენ, კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, გაერთიანებული სამეფოს და შეერთებული შტატების ლიდერები და ევროპული საბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტები, ვერთიანდებით, რათა გამოვხატოთ ჩვენი ღრმა შეშფოთება რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატისტების მცდელობების გამო, მოახდინონ აღმოსავლეთ უკრაინის და ჩვენი გადაწყვეტილების დესტაბილიზაცია - გადავდგათ შემდგომი ნაბიჯები 25 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების მშვიდობიან და სტაბილურ გარემოში ჩასატარებლად.

ჩვენ მივესალმეთ უკრაინის მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს შეასრულოს უკრაინის, რუსეთის, ევროკავშირისა და შეერთებული შტატების მიერ მიღებული ჟენევის 17 აპრილის შეთანხმებით აღებული ვალდებულებები. ვადებულებები მიზნად ისახავს კონსტიტუციონალურ რეფორმაზე და დეცენტრალიზაციის საკითხზე მუშაობას, ამნისტიის კანონის შეთავაზებას მათთვის, ვისაც სურვილი აქვს მშვიდობიანად დატოვოს აღმოსავლეთ უკრაინაში დაკავებული შენობები და ბოლოს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მუშაობის ხელშეწყობას. ჩვენ ასევე აღვნიშნავთ, რომ უკრაინის მთავრობა მოქმედებდა თავმეკავებულად იმ შეიარაღებული ბანდების მისამართით, რომლებმაც უკანონოდ დაიკავეს სამთავრობო შენობები და შემოიღეს არალეგალური გამშვები პუნქტები.

ამის საპირისპიროდ, რუსეთს არ გადაუდგამს არავითარი კონკრეტული ნაბიჯი ჟენევის შეთანხმების სასარგებლოდ. მას არც შეთანხმებისთვის გამოუთქვამს საჯარო მხარდაჭერა, არც უკრაინის დესტაბილიზაციის მოსურნე სეპარატისტები გაუკიცხავს და არც შეიარაღებული მებრძოლებისთვის მოუწოდებია მათ მიერ დაკავებული სამთავრობო შენობების გათავისუფლების და იარაღის დადებისკენ. პირიქით, რუსეთი აგრძელებს დამაბულობის ესკალაციას მზარდი შემაშფოთებელი რიტორიკითა და მუქარებით აღსავსე მიმდინარე სამხედრო მანევრებით უკრაინის საზღვარზე.

ჩვენ კვლავაც მკაცრად ვკიცხავთ რუსეთს ყირიმისა და სევასტოპოლის არალეგალური ანექსიის მცდელობისთვის, რომელსაც ჩვენ არ ვაღიარებთ. ჩვენ ახლა ბოლომდე მოვითხოვთ პასუხს ამ არალეგალური ანექსიის სამართლებლივ და პრაქტიკულ შედეგებზე, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სავაჭრო და ფინანსურ სფეროებს და არა მხოლოდ მათ.

ჩვენ შევთანხმდით, რომ სწრაფად გადავალთ რუსეთისთვის დამატებითი სანქციების დაკისრებაზე. გამომდინარე მომავალ თვეში უკრაინაში წარმატებული და მშვიდობიანი დემოკრატიული საპრეზიდენტო არჩევნების ხელშეწყობის აუცილებლობის სასწრაფოობისგან, ჩვენ შევთანხმდით დაუყოვნებლივ ვიმოქმედოთ მიზნობრივი

სანქციების და ზომების ინტენსიფიკაციისთვის, რათა რუსეთს გაეზარდოს საკუთარი ქმედებების ღირებულება.

რუსეთის მოქმედებებმა უკრაინაში და საერთაშორისო თანამეგობრობის შესაბამისმა პასუხმა უკვე დააკისრა რუსეთის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ხარჯი. სანამ ჩვენ ვარგბელებთ მზადებას უფრო ფართო, კოორდინირებულ სანქციებზე გადასასვლელად, მათ შორის სექტორული ზომები როგორც გარემოებათა გარანტია, ჩვენ ვრჩებით ჰააგის 24 მარტის შეთანხმების ერთგულნი და ხაზს ვუსვამთ, რომ კრიზისის მოგვარების დიპლომატიური გზისთვის კარი კვლავაც ღია რჩება, რაც თავის მხრივ ქენევის შეთანხმებას ემყარება. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს შემოგვიერთდეს აღებული კურსისკენ სვლაში. (დასასრული)